მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

CEE bankwatch network

მონიტორინგს ვუწევთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას

მწვანე ალტერნატივასა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის

ერთობლივი პრეს–რელიზი

17 სექტემბერი, 2013 წ.

მიუხედავად დაშინებისა, საკონსულტაციო შეხვედრისას ადგილობრივი მოსახლეობა ღიად გამოხატავს წინააღმდეგობას დიდი კაშხლის პროექტის წინააღმდეგ.

ხაიში - დღეს საჯარო დისკუსია, რომელიც დასავლეთ საქართველოში ხუდონის კაშხლის მშენებლობას ეხებოდა, დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. ეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და პროექტის განმახორციელებლის, კომპანია „ტრანსელექტრიკას“ მიერ პროექტის მოწინააღმდეგე ადგილობრივთა დაშინებას მოჰყვა. მიუხედავად დაშინებისა, უმრავი ხაიშელი მოვიდა დღევანდელ საკონსულტაციო შეხვედრაზე პროექტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად.

დღევანდელი განხილვა დაგეგმილი პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ნაწილია; განხილვის მოწყობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ დაიწყოს 1.2 მილიარდი დოლარის ღირებულების, 700 მეგავატი სიმძლავრის ჰესის პროექტის განხორციელება. განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი, კომპანია „ტრანსელექტრიკას“ წარმომადგენლები და ხაიშის მაცხოვრებლები (ფოტოები ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: http://www.flickr.com/photos/bankwatch/sets/72157635584455743/).

ხუდონჰესის პროექტი ერთ-ერთია საქართველოში დაგეგმილ 40-ზე მეტ ჰიდროენერგეტიკულ პროექტს შორის. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანას სჭირდება ახალი ჰესები ელექტროენერგიაზე ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკვე ელექტროენერგიის ექსპორტიორია.

თუ პროექტი დაიწყება, მკვიდრ მოსახლეობას - ორი ათასზე მეტ სვანს - მოუწევს იძულებით გადასახლება.

„ტრანსელექტრიკა“ ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული საერთაშორისო კომპანიაა, რომელიც საქართველოს ენერგო-სექტორში ინვესტირებისთვის შეიქმნა. კომპანიამ საქართველოს ხელისუფლებისგან სიმბოლურ ერთ დოლარად შეიძინა მიწები, სადაც სვანთა სახლებია განთავსებული. მიწების ასე გასხვისება შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს ოფიციალურად რეგისტრირებული საკუთრების უფლება მიწაზე; გასულ წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელიც კი შეუშალა სვანებს საკუთრების რეგისტრირებაში.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ხაიშის თემის მაცხოვრებლებმა დღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ საკონსულტაციო შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, სოფელში იმყოფებდნენ პოლიციის რეგიონული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და კომპანია „ტრანსელექტრიკას“ დირექტორი. მათ გააფრთხილეს ადგილობრივები, რომ არ გამოეფინათ პროექტისადმი კრიტიკული პლაკატები და არ გამოეხატათ პროტესტი პროექტის წინააღმდეგ. დღეს საკონსულტაციო შეხვედრის დაწყებამდე, გამგეობის შენობის წინ პოლიციელთა უჩვეულოდ დიდი რაოდენობა შეინიშნებოდა. მიუხედავად ამისა, უამრავი ხაიშელი გამოვიდა პროექტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად და თავისი მიწების უკან დაბრუნების მოთხოვნით.

„კომპანია და ხელისუფლება ძალიან ურთიერთშეხმატკბილებულად მუშაობენ, რაც იწვევს ადგილობრივთა ეჭვს, რომ აქ რაღაც წესრიგში არაა“, ამბობს დათო ჭიპაშვილი, მწვანე ალტერნატივას / ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის ეროვნული კოორდინატორი. „ხალხს არ მიეცა საშუალება, საკუთრებაში დაერეგისტრირებინა თავისი მიწა; ამან გაუიოლა კომპანიას მიწების ერთ დოლარად შესყიდვა. ეს გარემოება, ასევე ის, რომ გადასახადების გარდა, ამ პროექტიდან სხვა რეალური სარგებელი არაფერი რჩება, გვაფიქრებინებს, რომ ადგილი აქვს კორუფციას“.

ხუდონჰესის პროექტი საბჭოთა კავშირის დროს დაიგეგმა და მისი მშენებლობა 1979 წელს დაიწყო. 1989 წელს, ადგილობრივთა პროტესტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრთა ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად, ხელისუფლებამ მშენებლობა შეაჩერა. მომდევნო, პოსტ-საბჭოთა მთავრობები კვლავ ცდილობდნენ ინვესტორის მოზიდვას ხუდონჰესის პროექტის განსახორციელებლად. 2005 წელს მსოფლიო ბანკმა გამოყო გრანტი ხუდონჰესის პროექტის ტექნიკური დახმარებისთვის. გრანტის ფარგლებში მომზადდა არაერთი წინასწარი საპროექტო კვლევა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და განსახლების სამოქმედო გეგმა; გაწეულმა სამუშაომ კიდევ უფრო წაახალისა საქართველოს მთავრობა ხუდონჰესის პროექტის განხორციელების ხელშეწყობაში.

„საქართველოს არ სჭირდება ხუდონჰესი. პროექტი მომგებიანი იქნება მხოლოდ ელექტროენერგიის ექსპორტიორი კომპანიებისთვის“, განმარტავს დათო ჭიპაშვილი. „ხელისუფლება მართლაც დაინტერესებული რომ ყოფილიყო მოსახლეობის კეთილდღეობით, ის ხელს შეუწყობდა მიკრო ჰესების მშენებლობას, რომლებიც იაფი ელექტროენერგიით დააკმაყოფილებდნენ ადგილობრივი თემების საჭიროებას“.

ხუდონჰესისა და ჰიდროენერგეტიკის განვითარების სხვა გეგმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ფილმი ამ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=bD7adlLdc-0

საკონტაქტო დეტალები:

დათო ჭიპაშვილი
მწვანე ალტერნატივა /
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის
ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელი
dchipashvili@greenalt.org
+995 558 27 72 83